ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

ქ. ოზურგეთი 25 სექტემბერი 2013 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №80

„ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის (ს/კ.437058345) დაფუძნების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №49 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 46[1] მუხლის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს II-ე თავის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის თანახმად:

1. შევიდეს ცვლილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის (ს/კ.437058345) დაფუძნების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №49 განკარგულებაში და განკარგულებით დამტკიცებული წესდების:

ა) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტები:

„10. ახორციელებს საგანმანათლებლო, სახელოვნებო და ფიზიკური აღზრდის სპეციალურ პროგრამებს. პროგრამა შედგენილი უნდა იყოს ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით თითოეული ასაკობრივი ჯგუფისათვის და მიმართული უნდა იყოს ბავშვის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობათა განვითარებისა და მისი ორგანიზმის ფუნქციურ შესაძლებლობათა სრულყოფისაკენ;

11. ცენტრის ფილიალები (საბავშვო ბაღები) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხარისხიანი სასმელი წყლით, აგრეთვე ცხელი წყლით, გათბობისა და ვენტილაციის სისტემებით;

12. ცენტრის ფილიალები (საბავშვო ბაღები) უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვთა სრულფასოვანი და მრავალფეროვანი კვებით;

13. ცენტრის ფილიალები (საბავშვო ბაღები) უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამედიცინო მომსახურებით;“

ბ) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.“

2. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, არასამეწარმეო (არაკომერციული)

Created by free version of DocuFreezer

იურიდიული პირის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორს მაკა ჭყონიას (პირ.№33001079733).

3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ავთანდილ სურგულაძე**

Created by free version of DocuFreezer